პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФИЗКУЛЬТУРА И СПОРТ

№ 4 (5034)

1974 წ. 6 იანვარი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



გუშინ თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო ფრენბურთელი გოგონებისა და ჭაბუკების საკავშირო პირველობათა წინასწარი შეჯიბრებები.

სურათებზე: ზევით — აზერბაიჯანისა და მოსკოვის გუნდების შეხვედრის მომენტი; ქვევით — თამაშობენ ტაჯიკეთისა და სომხეთის კოლექტივები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



მაყურებელი ღელავს

თბილისი. ჭადრაკის სასახლე. 4 იანვარი. XIV ტური.

ვ. ბორისენკო (ტამკენტი) — ტ. მოროზოვა (ლვოვი) 0,5:0,5, კ. ზვორიკინა (მინსკი) — ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) 0:1, ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) — ლ. ლიუბარსკაია (დონის როსტოვი) 0,5:0,5, ტ. ფომინა (ტალინი) — ვ. სტერნინა 0:1, ნ. მედიანიკოვა (ორიოლი — მოსკოვი) — ო. პეტკო (სოჭი) 1:0. გადადო პარტიები: მ. შული (ლვოვი) — ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) — ლ. სემეონოვა (კიევი), ე. სტრელნიკოვა (კუიბიშევი) — ა. კისლოვა (ომსკი), ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი), ი. მატვეევა (ალმა-ათა) — ა. გრინფელდი (კალინინგრადი).

14 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: კოზლოვსკაია — 9 ქულა და 3 გადადებული პარტია, გაფრინდაშვილი — 8,5 (2), შული, მედიანიკოვა — 8-8 (2-2), მოროზოვა — 8. ჩიბურდანიძეს 5,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს.

ჩემპიონატი გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევს. ჭადრაკის სასახლის 520-ადგილიანი საჯარო დარბაზი მუდამ გაჭედილია. მაყურებლები აქტიურობენ, რაც ხშირად მსაჯთა შესიმშვნებს იწვევს. ზოგი გულშემატკივარი ვერ იოკებს გრძნობებს, სიმპათიებს, და ვერ ამჩნევს, რომ ხმამაღალი საუბრით თავისსავე კერპს ხელს უშლის.

მაყურებელი ღელავს. ანდა როგორ არ აღელდება, როცა მისი სათაყვანებელი მოჭადრაკე ლამაზად იგებს ან ცდება...

უნდა გენახათ, რა ამბავი იყო დარბაზში, როცა ჩიბურდანიძემ მულენკოსთან ოთხი ეტლის ენდშპილში ყაიმზე უარი თქვა და თამაში მოგებაზე დაიწყო. ეტლების ენდშპილი გამოცდილი ოსტატებისთვისაც წყალქვეშა რიფებითაა სავსე, პატარა მაია კი მას არ შეუშინდა. ნორჩი მოჭადრაკის ყოველ სვლას დარბაზი ტაშით და შეძახილებით ხვდებოდა. ამაოდ დაშვრნენ მსაჯები: მაყურებლები მხოლოდ მას შემდეგ დაწყნარდნენ, როცა მაიამ პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო.

გულშემატკივრები არც ერთ მონაწილეს არ აკლია, მაგრამ ყველაზე მეტი ქომაგი, ცხადია, ნონასა და მაიას ჰყავთ.

— ნონას პოზიცია მაღელვებს. ალბათ ძნელი იქნება ზედმეტი პაიკის გამოყენება. უნდა ვნახო პარტიის დამთავრება, — გვითხრა ზესტაფონელმა დ. არაბიძემ, რომელიც ქალიშვილთან ერთად ორიოდე დღით ჩამოვიდა ჩემპიონატზე დასასწრებად.

ამ პარტიაში ხემიონოვამ მსოფლიო ჩემპიონს მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია. გადადებულ პოზიციაში ბრძოლა კიდევ გაგრძელდება. შეკითხვაზე, თუ როგორ აფასებს ამ პოზიციას, ნონამ გვიპასუხა:

— მე მოგებაზე ვთამაშობ!

ყველა დაინტერესა ჩემპიონობის მოხვეჭის კანდიდატების—შულისა და კოზლოვსკაიას შეხვედრამ. შულმა ხელთ იგდო ინიციატივა და მეფის ფრთას მძლავრად შეუტია. კოზლოვსკაიამ პაიკის დათმობით თამაში ენდშპილში გადაიყვანა, მერე პაიკთა კედელი აღმართა და მეტოქის ფიგურებს გზები გადაუღობა.

— ყაიმია? — გკითხე შულის სეკუნდატს ვ. კარტს.

— ანალიზი გვიჩვენებს. იქნებ იყოს გარღვევის შესაძლებლობა ლაზიერის ფრთაზე.

თბილისელი მაყურებელი ობიექტური და კეთილია. როცა ახალგაზრდა ალიოხინამ მოუგო სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონ ზვორიკინას, ვორონეჟელი სტუდენტი ტაშით დააჯილდოვეს. ასევე მიულოცეს გამარჯვება მედიანიკოვას, თუმცა იგი ჩემპიონობაში ნონას ერთ-ერთი სერიოზული მოცილეა.

— ბევრ ჩემპიონატში მიმსაჯია, მაგრამ ასეთი ხმაურიანი მაყურებელი არ მინახავს, მართალია, მათი ქომაგობა გსიამოვნებს და გეამაყება კიდეც, მაგრამ გაწუხებს ის, რომ მონაწილეებს ხელი ეშლებათ, — თქვა მთავარი მსაჯის მოადგილემ, საერთაშორისო არბიტრმა, ოსტატმა ბ. ბარანოვმა (მოსკოვი).

დაიცავით სიწყნარე, მაყურებლებო!

თ. გიორგაძე.

საგანგებო პრიზი

ლღეს მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში XV ტურით ფინიში დაიწყება. გაზეთ „ლელოს“ რედაქცია მონაწილეთათვის აწესებს საგანგებო პრიზს — „ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისთვის“.

ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲩᲔᲕᲘ—ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ, 5 იანვარი. ჰოლანდიის ამ ქალაქში დამთავრდა ევროპის იუნიორ მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. I ადგილი დაიკავა მოსკოველმა ს. მაკარიჩევმა, რომელმაც ლვოველი ო. რომანიშინის შარშანდელი წარმატება გაიმეორა.

მეორე პრიზი ხვდა უნგრელ ოსტატ ი. პინტერს, რომელმაც მაკარიჩევის მსგავსად 7 ქულა დააგროვა, მაგრამ საბჭოთა მოჭადრაკეს წინა წრეში ნაჩვენები შედეგებით ჩამორჩა.

III ადგილზეა ა. კულეგოვსკი (პოლონეთი).



ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

აქ გაიმართა ორჯონიკიძისა (ჩრდილოეთ ოსეთი) და ცხინვალის ფრენბურთელთა ამხანაგური შეხვედრები. პირველ დღეს მასპინძელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) გაიმარჯვეს, ხოლო მეორე დღეს ორჯონიკიძის ფრენბურთელმა ქალებმა აღიღეს რევანში — 3:0. ვაჟთა გუნდების მატჩი ისევ ცხინვალელებმა მოიგეს, ამჯერად ანგარიშით 3:2.

ვ. ᲛᲔᲚᲥᲝᲕᲘ.



ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ

ისე გავიდა ცივი, უინულიანი შემოდგომა, ისე მოიკიდა ფეხი ზამთარმა, დნეპროპეტროვსკის 1-ლი საშუალო სკოლის პირველი და მეორე „ა“ კლასების მოსწავლეებს ავადმყოფობის გამო არც ერთი გაკვეთილი არ გაუცდენიათ.

რაშია ჯანმრთელობის საიდუმლო?

ახალ გაკვეთილებში, რომლებიც სასკოლო პროგრამას დაემატა. მთელს უკრაინაში მხოლოდ ამ კლასებში დაინერგა ტანვარჯიში ყოველდღიურ სავალდებულო საგნად.

1972 წლის 1 სექტემბრიდან მეცადინეობა პირველ „ა“ კლასში დილის 8 საათზე იწყებოდა ტანვარჯიშის გაკვეთილით. 12.30-დან 14.00-მდე ბავშვები კვლავ, ოღონდ უკვე შვიდ-შვიდად დაყოფილნი ვარჯიშობდნენ ტანვარჯიშულ იარაღებზე. ამას გარდა, ბავშვებს ექიმი და მწვრთნელი ყოველდღიურად უდგენენ წვრთნისა და წრთობის სავალდებულო საშინაო გეგმას.

მწვრთნელები ლეონიდ ლევტუში, ანა ილიაშენკო და სხვები მთავარ მიზნად სპორტულ შედეგებს როდი ისახავენ. ისინი თავიანთი გულმოდგინე შრომით პირველ ყოველისა მერმისისთვის ზრუნავენ.

— სპორტი ბავშვებს დისციპლინას აჩვევს, ფიზიკურად აკაუებს. სპორტის წყალობით სწავლის პირველი დღეებიდანვე შეეძელით შეგვექმნა ერთიანი, მეგობრული კოლექტივი. დღეს მეორე „ა“ კლასი ერთ ერთი საუკეთესო სკოლაში აკადემიური მოსწრებითაც და დისციპლინითაც, — ასე დაამთავრა ჩვენთან საუბარი სკოლის დირექტორმა ვ. კროტკოვამ.

ბ. ᲪᲣᲠᲐᲙᲐᲜᲝᲕᲘ.

(საკდესის კორ.).

დნეპროპეტროვსკი.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

კურგანის თვლების საწვრების ქარხნის ფიზკულტურელებმა ამიერურალელი მშენებლებისგან საახალწლო საჩუქრად სპორტის სასახლე მიიღეს. 1500 კვ მეტრ ფართობზე განლაგებულია ოთხი სპეციალიზებული დარბაზი ტატამის სარბენი ბილიკებით, საუცხო ინვენტარით. ამ დარბაზებში იმუშავებენ მძლეოსნობისა და ძალოსნობის, ფრენბურთის, ტანვარჯიშის, კალათბურთის, ხელბურთის, ჭიდაობისა და კრივის სექციები.

ამ ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი უდიდესია ოლქში. შარშან ამ საწარმოს 1500-ზე მეტმა მუშამ, ინჟინერმა და ტექნიკოსმა მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნები მიიღო.

ნ. ᲡᲢᲘᲐᲣᲙᲘᲜᲘ.

(საკდესის კორ.).

კურგანი.

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ... ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ

ესტონეთის დრამატული და საოპერო თეატრების მსახიობები თამაშობენ არა მარტო სცენაზე, არამედ... სპორტულ მოედნებზეც. მათ ძალიან უყვართ ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, რაც დაამტკიცეს კიდეც თეატრების რესპუბლიკური სპარტაკიადის სარბიელზე.

სპორტის ამ სახეობებში ფინალში გავიდნენ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, ქალაქ ვილიანდის დრამატული თეატრის, ავრუთვე ტარტუს აკადემიური თეატრ „ვანემუინეს“ გუნდები.

„უფრო დრამატულად, უფრო ვოკალურად, უფრო პლასტიკურად!“— ეწერა სპორტსაზოგადოება „იიუდის“ ტალინის სპორტის სახლის ფასადზე გამოკრულ ემბლემაზე. აქ დიდძალი ხალხი იყრიდა თავს, რათა მსახიობები უჩვეულო როლებში ენახა. მაგალითად, მოჭადრაკეთა შეჯიბრების დროს პირველ დაფას უჯდა ი. იირვეტი, რომელმაც მეფე ლირის როლი შეასრულა საბჭოთა მაყურებლებისთვის კარგად ცნობილ ფილმში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდა ტარტუს თეატრ „ვანემუინეს“ კოლექტივი.

მ. ᲘᲣᲜᲝᲕᲘ.

(საკდესის კორ.).

ტალინი.

„ᲙᲐᲚᲔᲕᲘ“ 30 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ამ დღეებში ესტონეთში ფართოდ აღინიშნება რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „კალევის“ დაარსების 30 წლისთავი.

... ომი ჯერ კიდევ მძვინვარეშდა. მტერი საბოლოოდ განდევნილი არ იყო რესპუბლიკის ტერიტორიიდან, როცა მოსკოვში სპორტსაზოგადოება „კალევი“ დაარსდა. საინიციატივო ჯგუფების წევრები, ახალი სპორტსაზოგადოების შემქმნელები, საბჭოთა არმიის მეომრებთან ერთად შედიოდნენ ესტონეთის ქალაქებსა და სოფლებში. მათ შორის იყვნენ დღეს უკვე საკვეცნოდ ცნობილი მოღვაწეები: სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ფრედ კუდუ, ოლიმპიურ ჩემპიონ იური ტარმაკის მამა — ადუ ტარმაკი, ალექსანდრე ჩიკინი და სხვ. 1944 წლის დამლევისთვის ესტონეთის ტერიტორიაზე „კალევის“ 60 კოლექტივი მუშაობდა ამ კოლექტივში 5000-ზე მეტი ადამიანი იყო გაერთიანებული.

ამჟამად „კალევი“ 120000 სპორტსმენს ითვლის. ამ საზოგადოების აღზრდილები არიან მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები: პაულ კერესი, აუგუსტ ენგლასი, რეინ აუნი, ალექსანდრე ჩუჩელოვი, აინ ვილდე, ჰეინო ლიპი, იაკ ლიპსი, რუტო რეკემაა და ბევრი სხვა თავისი საზოგადოების ღირსება წარმატებით დაიცვა ოლიმპიური თამაშების თერმოტტა პრიზიორობა და ათმა მსოფლიო ჩემპიონმა „კალევის“ 65 წევრი ევროპის პირველობათა ჩემპიონია, ხოლო 301 — საკავშირო ასპარეზობებისა.

(საკდესის კორ.).

ტალინი.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘ

საბჭოთა მფრინავებმა ხუთი რეკორდი დამყარეს 9-12 თვითმფრინავ-ამფიბიით, რომელსაც „ჩაიკა“ ჰქვია.

თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა ეკიპაჟი ვ. სვიატოშნიუკის, ა. ნესტერენკოს, ნ. აგეევისა და ვ. ჩეხნიაის შემადგენლობით, წყლიდან აფრინდა და რეკორდი დაამყარა დახშულ მარშრუტზე ფრენის სიშორეში — 2562 კმ (თვითმფრინავი ბოლოს ხმელეთზე დაჯდა). ეს შედეგი 536 კმ-ით სჯობს მსოფლიო რეკორდს.

ვ. ავერშინმა, ე. ნიკიტინმა, ა. ბახურცევმა, ვ. სპირიდონოვმა იმავე მარკის, ოღონდ ჰიდროთვითმფრინავით დახშულ 2000-კილომეტრიან მარშრუტზე 2014,5 კმ ტვირთით იფრინეს და საათში 548 კმ საშუალო სიჩქარე განავითარეს. საფრენოსნო აპარატების იმავე კლასში ნიკიტინმა, ავერშინმა, ბახურცევმა, სპირიდონოვმა 5023,7 კმ ტვირთით დახშულ 2000-კილომეტრიან ძარძრუტზე ჩქარონსული ფრენის დროს საათში საშუალოდ 479 კმ სიჩქარე განავითარეს, რაც სარეკორდო შედეგია.

ა. სუშკომ, პ. იაკუშინმა, ვ. დავიდოვმა, ვ. სპირიდონოვმა თვითმფრინავ-ამფიბიით დახშულ 2000-კილომეტრიან მარშრუტზე ფრენის დროს საათში 488 კმ სიჩქარე განავითარეს. ესეც სარეკორდო შედეგია. თვითმფრინავი წყლის ზედაპირიდან აფრინდა და ხმელეთზე დაჯდა.

ჰიდროთვითმფრინავების კლასში შორს ფრენაში ყველას აჯობა ეკიპაჟმა ვ. ეფიმოვის, ნესტერენკოს, აგეევისა და ჩეხნიაის შემადგენლობით. „ჩაიკამ“ დახშული მარშრუტით ფრენის დროს 2581 კმ გადალახა, რაც 517 კმ-ით სჯობს მსოფლიო რეკორდს.

ყველა მასალა ამ მიღწევების შესახებ გაიგზავნა საერთაშორისო საავიაციო - ფედერაციაში (ფაი) ახალ მსოფლიო რეკორდებად დასამტკიცებლად.

ნ. ᲒᲝᲚᲝᲕᲐᲜᲝᲕᲘ,

საერთაშორისო კატეგორიის მხაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ — ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲞᲝᲚᲢᲐᲕᲘᲡ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კარგად ახსოვთ ფრიადოსანი სტუდენტი ივანე ლესოვოი. მომავალი აგრონომი, გარდა კარგი სწავლისა, ფრენბურთით და ფეხბურთითაც იყო გატაცებული. ამ სახეობებში იგი პირველთანრიგოსანიც გახდა. საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის სპორტულმა განყოფილებამ ლესოვოის მწვრთნელის პროფესია და მსაჯის უფლებებიც მისცა. ამჟამად ი. ლესოვოი შიმაკსის რაიონის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომია.

კოლმეურნეობის სპეციალისტს უამრავი საქმე აქვს, მაგრამ ლესოვოი სპორტისთვის მაინც პოულობს ეროს. მან ჩამოაყალიბა ფრენბურთელთა გუნდი, რომელმაც უკრაინის სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლოსის“ საოლქო შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა. ყოფილ კლუბში (კოლმეურნეობამ კულტურის სასახლე ააგო) მისი ხელმძღვანელობით მოაწყვეს სპორტული დარბაზი, მუშაობს ფრენბურთის და მძლეოსნობის სექციები. კოლმეურნეობის სპორტსმენები თავისი ხელით აშენებენ სტადიონს, წარმატებით აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

ამჟამად საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტულ განყოფილებაზე 172 სტუდენტი სწავლობს — მომავალი აგრონომები, ზოოტექნიკოსები, მექანიზატორები, ეკონომისტები. ამ განყოფილების დამთავრების შემდეგ ისინი ფიზკულტურის ინსტრუქტორები ან მსაჯები იქნებიან. სპორტული ოსტატობის „საიდუმლოებას“ ახალგაზრდებს ასწავლიან გამოცდილი მედგაგოგები, სპორტის ოსტატები — ნ. პუტრენკო, ა. პეტრუშევიჩი, ვ. კორიაგინი.

ფაკულტეტი კავშირს არ წყვეტს თავის აღზრდილებთან, დაინტერესებულია მათი გეგმებით, დახმარებას უწევს ყოველდღიურ მუშაობაში.

ი. ᲖᲘᲠᲘᲐᲜᲘ.
(საკადრისო კორ.).

პოლტავა.

ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲤᲠᲣᲜᲐᲕᲘ

წლევანდელმა შამთარმა საქართველოს ქალაქებისა და თოვლიანი რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს დიდი საზრუნავი გაუჩინა: სამეგრელოს კავშირის ხალხთა ზამთრის III და რესპუბლიკური სპარტაკიადებისთვის მზადება მათგან დაძაბულ, ენერგიულ გარჯას მოითხოვს. გუნდები, რომლებიც იანვრის დამლევსა და თებერვლის პირველ რიცხვებში ბაკურიანში საქართველოს სპარტაკიადაში იასპარეზებენ, ძლიერი, ნიჭიერი სპორტსმენებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. სწორედ საქართველოს სპარტაკიადამ უნდა შეარჩიოს ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების საბოლოო შემადგენლობაც.

სათხილამურო სპორტში საქართველოს ნაკრების კანდიდატთა დიდი უმრავლესობა ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანის მკვიდრია. სწორედ ამიტომ დავინტერესდით, როგორ ემზადებიან ბორჯომის რაიონის ნაკრები გუნდები საქართველოს სპარტაკიადისთვის, რა ულხინთ და რა უჭირთ.

ამაზე გვესაუბრა ბორჯომის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ჯეირანაშვილი.

ბორჯომის რაიონის გუნდი საქართველოს სპარტაკიადაში თბილისისა და მესტიის რაიონის კოლექტივებთან ერთად პირველ ჯგუფში იბრძოლებს. ამ ამოცანის შესრულებაში მას ისიც დეხმარება, რომ სპარტაკიადის კომპლექსურ ჩათვლაში ფიგურული ციგურაობაც შედის, ამ სახეობის განვითარებისთვის საჭირო პირობები კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ თბილისშია.

ბორჯომის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის აზრით, ფიგურული ციგურაობა საერთო გუნდურ ჩათვლაში არ უნდა შედიოდეს, ამ სახეობაში მხოლოდ პირადი შეჯიბრება შეიძლება ჩატარდეს, ვინაიდან, წინაადმდეგ შემთხვევაში, თბილისის კოლექტივი გუნდურ პირველობას უბრძოლველად მოიპოვებს. სხვა საქმეა, ბორჯომს, მესტიას, სხვა ქალაქებსა და რაიონებს ფიგურული ციგურაობის დანერგვა-განვითარებისთვის საჭირო პირობები (ბაზა, ინვენტარი, მწვრთნელი) რომ ჰქონდეთ და არაფერს აკეთებდნენ.

— და მაინც, ჩვენი ნაკრები თავს არ დაზოგავს, რათა შარშან მოპოვებული რესპუბლიკური პირველობა შეინარჩუნოს. მიზნის მისაღწევად მზადებას მაშინვე შევუდექით, როგორც კი ზამთრის რესპუბლიკური სპარტაკიადის ტერიტორიული პრინციპით ჩატარება გადაწყდა, — თქვა ჯეირანაშვილმა.

მზადებას სათავეში ჩაუდგნენ წარსულში ცნობილი სპორტსმენები, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები ჰ. კოზანაშვილი და ნ. თავური, მწვრთნელები ნ. და შ. კოზანაშვილები, ა. ქუმარიტაშვილი.

სპარტაკიადისთვის რაიონის ნაკრების სამწყობლოში დიდ როლს ასრულებს „დინამოს“ სპეციალიზებული სპორტული სკოლა, რომელსაც სათავეში საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. ზიქაბერიძე უდგას. სწორედ ამ სკოლის აღსაზრდელები დაიცავენ რაიონის მოზარდთა გუნდის ღირსებას, მოზარდთა მაჩვენებლები კი სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში შედის.

— რაც შეეხება ქალთა შეჯიბრებას სამთოსათხილამურო სპორტში, აგრეთვე ტრამპლინიდან ხტომაში და ციგაობაში ასპარეზობას, ჩვენს გუნდებს გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ. ჩემი აზრით, ამ სახეობებში თბილისს გუნდებსაც უნდა ვაჯობოთ და მესტიელებსაც. მოზარდთა ტურნირიც ჩვენს წინსვლაზე დასაბამს წყალს, მაგრამ რბოლებში, სამთომოთხილამურე ვაჟთა შეჯიბრებაში, ორჭიდში, ფიგურულ ციგურაობაში ალბათ მეტოქეები გვაჯობებენ. თუმცა, ხარტამდე დიდი დრო აღარ დარჩა — თვე-ნახევრის შემდეგ ყველაფერი გაირკვევა, — ამბობს ბორჯომის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ბორჯომის რაიონის ნაკრებს მზადებაში ხელს არაფერი უშლიდეს. ჯეირანაშვილს ბევრი რამ აფიქრებს, პირველ ყოვლისა, სპარტაკიადის პერიოდში სპორტსმენთა დაბინავების საკითხი.

— შარშანდელი ჩემპიონატის დროს ბაზებში ადგილები არ მოგვცეს და ჩვენი რაიონის სპორტსმენებს თავი ერთად ვერ მოვუყარეთ. ისინი თითქმის მთელს დაბაში იყვნენ გადანაწილები, რაც უდავოდ ცუდად მოქმედებდა შედეგებზე. შინ სპორტსმენებს ათასგვარი საზრუნავი ჰქონდათ, წესიერად ველარ ვარჯიშობდნენ და ზოგჯერ სტარტზეც იგვიანებდნენ. სპარტაკიადის მონაწილე რაიონის გუნდში 60-მდე სპორტსმენი იქნება და, თუ ბინა რომელიმე ბაზაში არ მოგვცეს, ორიოდე მწვრთნელითა და წარმომადგენლით მათი გაძღოლა აშკარად გაგვიჭირდება, — აღნიშნავს ჯეირანაშვილი.

ისიც გამოირკვა, რომ „საკსპორტტანსპორტმა“ ვერც ერთ შაღაზიაში (ბორჯომის რაიონში კი სამი ასეთი მაღაზიაა) ხეირიან თხილამურებს, სამაგრებს, ჯოხებს, ფეხსაცმელს და საცხს ვერ იშოვი. „საკსპორტვაჭრობამ“ ხეირისხიანი ინვენტარი საესპორტკომიტეტის დაკვეთით მხოლოდ იმდენი შემოზიდა, რამდენიც რესპუბლიკის ნაკრების წევრებს ეყოფოდათ (თუმცა ნაკლოვანება ჰქონია არის). როგორც ჯეირანაშვილმა გვითხრა, ინვენტარის ნაკლებობა ხელს უშლის განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტული სკოლის სამი ჯგუფის მუშაობას, რომლებიც ბაკურიანის საშუალო სკოლის ბაზაზეა გახსნილი. სწორედ ამავე მიზეზით, რაიონის სხვა სოფლებში — ციხისჯვარში, ტაძრისში, ტაბაწყურში, წაღვერში, მიტარბში და სხვაგან, სადაც უნდა თოვლი იცის, სათხილამურო სპორტის განვითარება ძნელდება. ამ სოფლებში სათხილამურო სპორტის დანერგვას სათანადო ყურადღება რომ ექცეოდეს, ეჭვი არ არის, რამდენიმე წელიწადში საქართველოს ნაკრებს ისინიც ღირსეულ შევსებას მისცემენ.

რაიონში (და რესპუბლიკაშიც) „მფრინავ მოთხილამურეთა“ რეზერვის აღზრდას ძალიან აფერხებს 40-მეტრიანი ტრამპლინის უქონლობა. ბაკურიანში ადგილობრივმა მწვრთნელებმა და ბავშვებმა 25-მეტრიანი ტრამპლინი საკუთარი ძალებით მოაწყვეს. მოზარდები ფეხს აქ იდგამენ, მაგრამ შემდგომი დოსტატების საშუალება აღარა აქვთ. პირდაპირ 70-მეტრიან ტრამპლინზე გადასვლა თითქმის არავის შეუძლია, გამბედაობაზე შიშის გრძნობა იმარჯვებს. სწორედ ამიტომაა, რომ კობა წაქაძის საქმის ღირსეული მემკვიდრე, ჯერჯერობით არ გვყავს. მართალია, ორიოდე სპორტსმენმა შეძლო 70-მეტრიან ტრამპლინზე გარჯაშის გაგრძელება, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ მათ ყოყმანდება აკლიათ.

ახლა, როცა რესპუბლიკურ სპარტაკიადამდე თვეზე ცოტა დარჩა, ბორჯომის რაიონის საუკეთესო სამთოთხილამურეები ტერსკოლში იყვნენ, სადაც საჭიროელთა საკავშირო ჩემპიონატში რესპუბლიკის ნაკრების სახელით გამოდიოდნენ. შემდეგ ისინი და სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც ბაკურიანში სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ პირველ შეჯიბრებაში (გაზეთ „ოლოდიოე გრუზიის“ პრიზზე) ჩაებნენ. ეს შეჯიბრება რესპუბლიკის მოთხილამურეთა პირველი შემოწმება იყო. სპარტაკიადამდე კი მათ ძალის გამოცდის კიდევ რამდენიმე საშუალება მიეცემათ.

ჟ. ᲥᲘᲛᲘᲡᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ბორჯომი. (ჩვენი სპეც. კორ.).

ᲛᲣᲦ ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲖᲔ

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაკურიანის ფილიალში ყოველწლიურად ასობით სტუდენტი პრაქტიკულად სწავლობს სათხილამურო სპორტს. ინსტიტუტის მთამსვლელობისა და სათხილამურო სპორტის კათედრა ახალგაზრდებს ზამთრის ამ სახეობის ყველა საიდუმლოებას აცნობს, სტუდენტები თეორიულ ცოდნას ძაგორას ველზე და პარკის ფერდობებზე პრაქტიკული გაკვეთილებით, ლაშქრობებითა და ასპარეზობებით იღრმავებენ.

წლეულს პირველ ნაკადში პირველკურსელები შეგროვდნენ. შეკრების დასასრულს მოეწყო მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. სტარტზე 59 ვაჟი და 17 ქალი გამოვიდა. ქალები 5 კილომეტრზე დარბოდნენ, ვაჟები — 10 კილომეტრზე.

ქალთა შორის მშდ კომპლექსის ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ხუთმა სტუდენტმა ჩააბარა, ვერცხლისაზე — ექვსმა. ოქროს სამკერდე ნიშნის პრეტენდენტები არიან თ. ოსიპოვა, რ. მიქაძე, თ. დათუაშვილი, ლ. ზორისოვა და ვ. შმაკოვა. მათ შორის ყველაზე კარგი შედეგი მძლეოსან შმაკოვას ჰქონდა.

ვაჟთა შორის ნორმატივები 12 მონაწილემ ჩააბარა, მათგან, ოქროს სამკერდე ნიშანზე — ოთხმა სტუდენტმა. ყველას მოცურავეებმა აჯობეს. დ. გრიგორომ, მაგალითად, აბსოლუტურად საუკეთესო დრო აჩვენა. მას ბეერთი არც ს. ბაკაროვი, ი. ტიშენი და ვ. ჩხაბერიძე ჩამორჩნენ.

ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲕᲐᲟᲔᲑᲘ.

ავტორის ფოტო.



ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ

ᲓᲐᲛᲜᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲚ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ განიხილა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მახბინძლებთან ჩატარებულ საერთაშორისო შეხვედრაში საქართველოს ტანმოვარჯიშეთა სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგები.

კოლეგიამ იმსჯელა საქართველოს დელეგაციის წევრის, სპორტის ოსტატ ა. ნოზაძის მიერ საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელის ჩადენაზე. შეჯიბრების შემდეგ მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თანაგუნდელს. კოლეგიამ ა. ნოზაძეს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა და იშუამდგომლა საკავშირო სპორტკომიტეტის წინაშე მისთვის სპორტის ოსტატის წოდების ჩამორთმევის თაობაზე.

კოლეგიამ დასახა ღონისძიებები ტანმოვარჯიშეთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

წლევანდელი წლის პირველი თვე ბევრ საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებას გვპირდება. გთავაზობთ უმთავრეს ასპარეზობათა დროსა და ადგილს.

ᲑᲘᲐᲗᲚᲝᲜᲘ

23-27. სსრ კავშირის თასის გათამაშება (მინსკი).

ᲒᲣᲠᲗᲘᲗᲘᲐᲜᲘ ᲰᲝᲙᲔᲘ

10-15 შვეიცისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრები (შვეიცია).

16-19. ნორვეგიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრები (ნორვეგია).

25-30. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზზე (არსანგელსკი).

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

6-10. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობები. ზონალური შეჯიბრებები (ბაქო, ვიტებსკი, რიბინსკი, ფრუნზე).

9. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ჟელეზნიჩარი“ (სარატოვი). იუგოსლავია.

18. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ჟელეზნიჩარი“ (სარატოვი). ლენინგრადი.

17. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. ტტტ (რიგა) — „სტანდა“ (მილანი). იტალია.

22-27. სსრ კავშირის ქალთა გუნდების ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეორე წრე, I ტური (მოსკოვი, ხიმკი).

ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

6-11. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო პირველობები. ფინალური შეჯიბრებები (კუიბიშევი).

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

7-8 და 11-12. საკავშირო შეჯიბრებები სიმაღლეზე ხტომაში. I ტური (ტაშკენტი, ალმა-ათა).

26-29. საერთაშორისო შეჯიბრება დახურულ შენობაში (მოსკოვი).

26-31. საკავშირო შეჯიბრებები სიმაღლეზე ხტომაში (ლენინგრადი, ვილნიუსი).

ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

6. საერთაშორისო შეჯიბრებები ორჭიდში (გდრ და გფრ).

12-13. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო შეჯიბრებები ორჭიდში (ლენინგრადი).

13. ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო შეჯიბრებები ტრამპლინიდან ხტომაში (ლენინგრადი).

20, 23 და 27. საკავშირო შეჯიბრებები ტრამპლინიდან ხტომაში (იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი).

23-27. საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში (ჩეხოსლოვაკია).

25-27. სოციალისტური ქვეყნების მოზარდ სპორტსმენთა შეჯიბრება — „მეგობრობა“ — ორჭიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში (პოლონეთი).

26-27. იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება ორჭიდში (უფა).

26-27. სსრ კავშირის თასის გათამაშება ტრამპლინიდან ხტომაში (გორკი).

27. იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში (უფა).

28-31. სსრ კავშირის თასის გათამაშება რბოლებში (ბაკურიანი).

28-31. იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება რბოლებში (ოტეპია).

ᲡᲐᲪᲘᲒᲐᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

12-13. ევროპის იუნიორთა პირველობა (გფრ).

24-27. სსრ კავშირის თასის გათამაშება (ცესისი).

ᲡᲐᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

7-17. საერთაშორისო შეჯიბრებები (იტალია, ავსტრია, გფრ).

15-18. სოციალისტური ქვეყნების მოზარდ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (უნგრეთი).

18-19. სსრ კავშირის ქალთა შეჯიბრება მრავალჭიდში (მედეო).

18-19. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი (იტალია).

26-27. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი (შვეცია).

26-27. საკავშირო შეჯიბრება სპრინტერულ მრავალჭიდში (მედეო).

ᲡᲢᲠᲝᲚᲐ

22-24. სსრ კავშირის თასის გათამაშება (მოსკოვი).

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ

27. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

ᲤᲘᲖᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐ

8-13. სსრ კავშირის თასის გათამაშება (ჩელიაბინსკი).

ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲘ

6-10. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო პირველობები. წინასწარი შეჯიბრებები (ბრესტი, კამენსკ-ურალსკი, ოდესა, თბილისი).

11-16. სსრ კავშირის ვაჟთა გუნდების ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა, I ტური (ალმა-ათა, მოსკოვი).

15-20. სსრ კავშირის ქალთა გუნდების ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. I ტური (ვოროშილოვგრადი, ლენინგრადი).

17. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის. ცსკა (სსრ კავშირი) — „ჰარტიზანი“ (ბელგრადი). მოსკოვი.

19. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ვაჟთა გუნდებს შორის. „რადიოტექნიკი“ (რიგა) — „რუდაგვეზდა“ (პრაღა). რიგა.

19. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. „დინამო“ (მოსკოვი) — „ბენეიკა“ (ლისაბონი). მოსკოვი.

19. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. ცსკა (სსრ კავშირი) — „დეტრი“ (ჰაგა). ჰოლანდია.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

11. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. „სპარტაკი“ (კიევი) — „ბრიუკლი“ (სანკტ-გალენი, შვეიცარია). კიევი.

17-21. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. უმაღლესი ლიგა. პირველი წრე. I ტური (კაუნასი, კიევი).

25. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ქალთა გუნდებს შორის. „სპარტაკი“ (კიევი) — „ბრიუკლი“ (სანკტ-გალენი). შვეიცარია.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

6-16. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო პირველობები (ტალინი).

16.I-14.II. ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. პრეტენდენტების ა. კარპოვისა და ლ. პოლუგაევსკის მატჩი (მოსკოვი).

25.I-15.II. ახალგაზრდა ოსტატთა საკავშირო პირველობა. (ჩელიაბინსკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი გულშემატკივრებს

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მარცხმა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“ უეფა-ს თასის გათამაშებაში ცხოველი გამოხმაურება პოვა გულშემატკივართა შორის. რედაქციაში მრავალად მოდიოდა წერილები, სადაც ფეხბურთის მოყვარულები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს ამ საკითხზე, გამოხატავდნენ უკმაყოფილებას. ამასთან დაკავშირებით „ლელოში“ გამოქვეყნდა მკითხველთა წერილების მიმოხილვა.

დღეს ვბეჭდავთ თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელის, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ა. კობრიკაძის პასუხს მკითხველთა წერილების მიმოხილვაზე.

თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა უახლოეს დროში აპირებდა ანგარიშით წარმდგარიყო გულშემატკივართა, კერძოდ, „ლელოს“ მკითხველთა წინაშე, მაგრამ გაზეთის 29 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილმა მიმოხილვამ სათაურით „გულშემატკივარი უმაყოფილოა“, საჭირო გახადა ამ მიმოხილვაში დასმულ საკითხებზე გაგვეცა პასუხი.

როგორც მკითხველთა წერილებიდან შემოძლია დავასკვნა, მცირე გამონაკლისის გარდა, გულშემატკივართა და გუნდის ხელმძღვანელობის შეხედულებათა შორის მთელ რიგ საკითხებში დიდი სხვაობაა.

რა არის ამის მიზეზი? ჯერ ერთი, გულშემატკივარი მუდამ მსაჯულის როლში გამოდის. იგი ამა თუ იმ თამაშზე შემადგენლობას „აყენებს“ და გუნდის ტაქტიკასაც განსაზღვრავს უკვე მატჩის შემდეგ და მხოლოდ მისი შედეგის მიხედვით, ესე იგი უკვე ცნობილი, განვლილი ამბების მიხედვით.

გულშემატკივარს უფლება აქვს აკეთებდეს თავის ემოციებს და ამ დროს არ გაუწიოს ანგარიში იმას, თუ რა შედეგს გამოიღებს მისი აზრი ცალკეულ ფეხბურთელებზე ან მოლიანად გუნდზე. მას შეუძლია დაუმსახურებელი საყვედურიც გამოთქვას მოთამაშეთა მიმართ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გულშემატკივარი არაა შეზღუდული ტაქტის მოთხოვნებით და პედაგოგიური მოსაზრებებით. მას არ აკისრია არავითარი პასუხისმგებლობა, აქვს მხოლოდ უფლებები და არა აქვს მოვალეობანი.

ბუნებრივია, სულ სხვა მდგომარეობაშია გუნდის ხელმძღვანელობა, რომელმაც უნდა შეარჩიოს შემადგენლობა კონკრეტული თამაშისთვის და ტაქტიკაც ზუსტად განსაზღვროს მატჩის წინ, ამასთან, გაითვალისწინოს ბევრი ისეთი რამ, რაც გულშემატკივართათვის ცნობილი არაა და რის ჩამოთვლასაც „ლელოს“ რამდენიმე ნომერიც კი არ ეყოფოდა.

მწვრთნელებს უფლება არა აქვთ აჭყვნენ თავიანთ პირად სიმპათიებს ან ანტიპათიებს ცალკეულ ფეხბურთელთა მიმართ. ჭარბი ემოციები სწორი აზროვნების მტერია. ამდენად, მათს დაუთრგუნველად გუნდის ხელმძღვანელობა სწორად ვერ გადაწყვეტს ვერც ერთ საკითხს. ანგარიში უნდა გაეწიოს ცალკეულ ფეხბურთელთა ხასიათს და ფსიქიკურ თავისებურებებს. საჭიროა დიდი პედაგოგიური ტაქტი; როცა საქმე მიდგება შენიშვნაზე, უნდა განისაზღვროს მისი მიცემის გარდუვალობა, დრო, ფორმა, გარემოება (პირისპირ თუ სხვათა დასწრებით) და ა. შ.

გუნდის ხელმძღვანელობას დიდ უფლებებთან ერთად დიდი მოვალეობანიც აკისრია. მიმოხილვაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ უმართებულო საყვედურს მწვრთნელები იძულებული არიან იზრუნონ ამ საყვედურებით გამოწვეულ შთაბეჭდილებათა გაქარწყლებაზე და დაჯერონ განქიქებული მოთამაშეები, რომ საკითხი ეხება ცალკეულ მეგობართა კერძო აზრებს და არა უმადურებს, რომლებმაც გულგატეხილობა და სამაგიერო წყენა უნდა გამოიწვიონ გუნდში.

ამ საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ ნება მომეცით გადავიდე უშუალოდ იმ საკითხების განხილვაზე, რომლებიც დასმულია გულშემატკივართა წერილებში. „დინამოს“, რომელმაც „ტოტენჰემთან“ პირველ მატჩში შინ დაკარგა ერთი ქულა, ლონდონში უეჭველად უნდა ეთამაშა გოლის გატანაზე და სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავდა ტაქტიკას. არც ფრე — 0:0, არც საპატიო წაგება — 0:1 ჩვენ ხელს არ გვაძლევდა და ამაზე არც გვიფიქრია. არც იმაზე გვიფიქრია, რომ დიდი ანგარიშით წაგებისას (ან ამას ვინ ფიქრობდა) გულშემატკივრები უფრო „საპატიო“ წაგებას მოგვთხოვდნენ. ახლა კი, დარწმუნებული ვართ, „საპატიოდ“ რომ წაგვეგო მატჩი, გულშემატკივრები უფრო „საპატიო“ ფრეს (0:0) მოგვთხოვდნენ, თუ თამაში მართლა ასე დამთავრდებოდა, იმედის შესანარჩუნებელად — 1:1-ს და ა. შ.

თვით დინამოელებს ლონდონში წაგების სიმწარეს ვერ გაუნელებს ვერაკითარი ოცნება უფრო ნაკლებ ანგარიშზე. რაც შეეხება წაგების მიზეზებს, ან მის გაგლენას „დინამოს“ პრესტიჟზე, ამაზე პირდაპირ წერდა ინგლისური პრესა და დაინტერესებულ მკითხველს საანალიზო წერილები შეუძლიათ წაიკითხონ ამ პრესაში („ნეიდლიან“, „ფუტბოლ-ჰოკეი“).

გუნდის ხელმძღვანელობის ღრმა რწმენით, ლონდონში გამოყვანილი იყო საუკეთესო შემადგენლობა. ეს ითქმის ყველა ხაზზე. ჩვენ ვიცით, რომ მოგების შემთხვევაში ამ აზრს არც არავინ შეედავებოდა, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ წაგებისას ნებისმიერი მოთამაშის გამოუყენებლობას წაგვიყენებდნენ ბრალდებად. ამიტომაც ეს მოსაზრებები არ მიგვიღია მხედველობაში გუნდის შემადგენლობის განსაზღვრისას.

„დინამოს“ ტაქტიკაზე საუბრისას უკვე მოვიხსენიეთ ლონდონის მატჩის მიზანი, რომელმაც განაპირობა შემტევი სტილის არჩევა. ახლა შევეხოთ იმ ფაქტორს, რომელმაც ასე იმოქმედა მატჩის შედეგზე.

მოგეხსენებათ, რომ საჯარიმო მოედანზე შეიძლება მაღალი ბურთის ორგვარი ჩაწოდება: ჩაკიდებით ან გაჭოლვით. ამ ორ ჩაწოდებას შორის დიდი განსხვავებაა და შესაბამისად სხვადასხვაა მათთან ბრძოლის საშუალებანიც. მაღალი ბურთის ჩაწოდების ამ ორი განსხვავებული სახეობის ერთმანეთში არევა მიზეზია ბევრი შეცდომისა, კერძოდ, იმ შესედულებისაც „დინამოს“ დაცვის ხაზის შესახებ, რომელმაც გულშემატკივართა ერთ ნაწილში მოიკიდა ფეხი ლონდონის მატჩის შემდეგ.

ლონდონში „ტოტენჰემი“ იყენებდა გამჭოლ ჩაწოდებებს და საბოლოო წარმატებას მიაღწია არა მარტო მოთამაშეთა სიმაღლის უპირატესობით, არამედ თავით თამაშის უკეთესი ცოდნით. ინგლისელები უკეთ ფლობდნენ თავით თამაშის ტექნიკას და ამიტომ შეეძლოთ გამოეყენებინათ ისეთი ტაქტიკური მანევრი, როგორიცაა დასწრებაზე თავით თამაში. თბილისში ისინი მეტწილად მიმართავდნენ „დინამოსთვის“ ესოდენ ნაცნობ და ჩვეულ ჩაკიდებას შორეულ ძელთან, მაგრამ ლონდონში შეცვალეს ტაქტიკა და გამჭოლ ჩაკიდებებზე გადავიდნენ. ჩვენ უკვე შესვენებისას ვიცოდით ეს, ვიცოდით რა კონტრზომების მიღება იყო საჭირო ამ დროს. კერძოდ:

ა) თუ დავტოვებდით დაცვის ძველებურ განლაგებას, ჩამოწოდებისას მეკარე დ. გოგია დაიკავებდა ადგილს შორეულ ძელთან, ჩვენს მცველებს უნდა ეჯობნათ ინგლისელი თავდამსხმელებისთვის დასწრებაზე თავით თამაშში. ეს მათ ვერ შეძლეს პირველ ტაიმში და ამიტომ არავითარი საფუძველი არ გვქონდა გვეფიქრა, რომ ამას მეორე ტაიმში გააკეთებდნენ;

ბ) ასეთ სიტუაციაში გამართლებული იყო დაცვის განლაგების შეცვლა. სახელდობრ, დ. გოგია მაღალი ბურთის გაჭოლვით ჩამოწოდების დროს წინ გასვლით უნდა შეხვედროდა მას, ესე იგი თავად ეთამაშა დასწრებაზე, რათა აღარ მიეშვა ბურთი მის უკან მდგომ მეტოქეებამდე, ვინაიდან საკმარო დუელების შედეგი წინასწარ იყო ცნობილი და გამარჯვებული ინგლისელი თავდამსხმელი ბურთს დაუცველ კარში გაგზავნიდა.

ასეთი ტაქტიკური მანევრის საპასუხოდ, ბუნებრივია, ინგლისელები ისევ შორეულ ძელთან ბურთის ჩაკიდებას მიმართავდნენ, მაგრამ აქ მათ უნდა დახვედროდა სპეციალურად ნავარჯიშევი მცველი, რომელიც წინ დარჩენილი დ. გოგიას ნაცვლად უდარაჯებდა კარს. აი, ეს იყო ის ტაქტიკური პასუხი, რომელსაც „დინამოსთვის“ წარმატება უნდა მოეტანა, რაკი თავით დასწრებაზე თამაშში ინგლისელები გვჯობდნენ. მაგრამ, საკითხაია, შეგვეძლო კი ამ ხერხისთვის მიგვმართა?

ტაქტიკური ჩანაფიქრის გახორციელების ერთადერთი სამუალებაა სათანადო ტექნიკა და წლების მანძილზე გამომუშავებული, ავტომატიზმამდე აყვანილი ჩვევები. „დინამოს“ დაცვას არ გააჩნია ჩვევები მიზეზია ბევრი შეცდომისა, კერძოდ, იმ შესედულებისაც „დინამოს“ დაცვის ხაზის შესახებ, რომელმაც გულშემატკივართა ერთ ნაწილში მოიკიდა ფეხი ლონდონის მატჩის შემდეგ.

ლონდონში „ტოტენჰემი“ იყენებდა გამჭოლ ჩაწოდებებს და საბოლოო წარმატებას მიაღწია არა მარტო მოთამაშეთა სიმაღლის უპირატესობით, არამედ თავით თამაშის უკეთესი ცოდნით. ინგლისელები უკეთ ფლობდნენ თავით თამაშის ტექნიკას და ამიტომ შეეძლოთ გამოეყენებინათ ისეთი ტაქტიკური მანევრი, როგორიცაა დასწრებაზე თავით თამაში. ეს ითქმის ყველა ხაზზე. ჩვენ ვიცით, რომ მოგების შემთხვევაში ამ აზრს არც არავინ შეედავებოდა, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ წაგებისას ნებისმიერი მოთამაშის გამოუყენებლობას წაგვიყენებდნენ ბრალდებად. ამიტომაც ეს მოსაზრებები არ მიგვიღია მხედველობაში გუნდის შემადგენლობის განსაზღვრისას.

„დინამოს“ ტაქტიკაზე საუბრისას უკვე მოვიხსენიეთ ლონდონის მატჩის მიზანი, რომელმაც განაპირობა შემტევი სტილის არჩევა. ახლა შევეხოთ იმ ფაქტორს, რომელმაც ასე იმოქმედა მატჩის შედეგზე.

მოგეხსენებათ, რომ საჯარიმო მოედანზე შეიძლება მაღალი ბურთის ორგვარი ჩაწოდება: ჩაკიდებით ან გაჭოლვით. ამ ორ ჩაწოდებას შორის დიდი განსხვავებაა და შესაბამისად სხვადასხვაა მათთან ბრძოლის საშუალებანიც. მაღალი ბურთის ჩაწოდების ამ ორი განსხვავებული სახეობის ერთმანეთში არევა მიზეზია ბევრი შეცდომისა, კერძოდ, იმ შესედულებისაც „დინამოს“ დაცვის ხაზის შესახებ, რომელმაც გულშემატკივართა ერთ ნაწილში მოიკიდა ფეხი ლონდონის მატჩის შემდეგ.

ლონდონში „ტოტენჰემი“ იყენებდა გამჭოლ ჩაწოდებებს და საბოლოო წარმატებას მიაღწია არა მარტო მოთამაშეთა სიმაღლის უპირატესობით, არამედ თავით თამაშის უკეთესი ცოდნით. ინგლისელები უკეთ ფლობდნენ თავით თამაშის ტექნიკას და ამიტომ შეეძლოთ გამოეყენებინათ ისეთი ტაქტიკური მანევრი, როგორიცაა დასწრებაზე თავით თამაში. თბილისში ისინი მეტწილად მიმართავდნენ „დინამოსთვის“ ესოდენ ნაცნობ და ჩვეულ ჩაკიდებას შორეულ ძელთან, მაგრამ ლონდონში შეცვალეს ტაქტიკა და გამჭოლ ჩაკიდებებზე გადავიდნენ. ჩვენ უკვე შესვენებისას ვიცოდით ეს, ვიცოდით რა კონტრზომების მიღება იყო საჭირო ამ დროს. კერძოდ:

ა) თუ დავტოვებდით დაცვის ძველებურ განლაგებას, ჩამოწოდებისას მეკარე დ. გოგია დაიკავებდა ადგილს შორეულ ძელთან, ჩვენს მცველებს უნდა ეჯობნათ ინგლისელი თავდამსხმელებისთვის დასწრებაზე თავით თამაშში. ეს მათ ვერ შეძლეს პირველ ტაიმში და ამიტომ არავითარი საფუძველი არ გვქონდა გვეფიქრა, რომ ამას მეორე ტაიმში გააკეთებდნენ;

ბ) ასეთ სიტუაციაში გამართლებული იყო დაცვის განლაგების შეცვლა. სახელდობრ, დ. გოგია მაღალი ბურთის გაჭოლვით ჩამოწოდების დროს წინ გასვლით უნდა შეხვედროდა მას, ესე იგი თავად ეთამაშა დასწრებაზე, რათა აღარ მიეშვა ბურთი მის უკან მდგომ მეტოქეებამდე, ვინაიდან საკმარო დუელების შედეგი წინასწარ იყო ცნობილი და გამარჯვებული ინგლისელი თავდამსხმელი ბურთს დაუცველ კარში გაგზავნიდა.

ასეთი ტაქტიკური მანევრის საპასუხოდ, ბუნებრივია, ინგლისელები ისევ შორეულ ძელთან ბურთის ჩაკიდებას მიმართავდნენ, მაგრამ აქ მათ უნდა დახვედროდა სპეციალურად ნავარჯიშევი მცველი, რომელიც წინ დარჩენილი დ. გოგიას ნაცვლად უდარაჯებდა კარს. აი, ეს იყო ის ტაქტიკური პასუხი, რომელსაც „დინამოსთვის“ წარმატება უნდა მოეტანა, რაკი თავით დასწრებაზე თამაშში ინგლისელები გვჯობდნენ. მაგრამ, საკითხაია, შეგვეძლო კი ამ ხერხისთვის მიგვმართა?

ტაქტიკური ჩანაფიქრის გახორციელების ერთადერთი სამუალებაა სათანადო ტექნიკა და წლების მანძილზე გამომუშავებული, ავტომატიზმამდე აყვანილი ჩვევები. „დინამოს“ დაცვას არ გააჩნია ჩვევები მიზეზია ბევრი შეცდომისა, კერძოდ, იმ შესედულებისაც „დინამოს“ დაცვის ხაზის შესახებ, რომელმაც გულშემატკივართა ერთ ნაწილში მოიკიდა ფეხი ლონდონის მატჩის შემდეგ.

ამიტომ იყო, რომ ვერ მივაგენით „წამალს“, დაგვრჩა უკანასკნელი გამოსავალი: არ მიგვეცა ინგლისელებისთვის იმის საშუალება, რომ ბურთი ჩაეწოდებინათ ჩვენს საჯარიმო მოედანზე. ამის მისაღწევად გვქონდა მხოლოდ ერთი გზა — შეტევა. ამგვარად, არა მარტო ლონდონის მატჩის მიზანი (მოგება ან მომგებიანი ფრე), არამედ უფრო ლოკალური ამოცანაც — დაცვის ორგანიზაცია — ჩვენგან მოითხოვდა შეტევას და შეტევას. ასეთ დროს გუნდს არ შეეძლო მიზნად დაესახა (და არც დაუსახავს) „საპატიო წაგება“, რომელიც ახლა სანატრელად ექცათ მათ, ვისაც არ ძალუძს მწარე სიმართლეს შეხედოს თვალებში, ან სურს თავის მოტყუებით გაინელოს ტკივილი. ჩვენც გვწყინს, რომ გვაჯობეს ლონდონში, მაგრამ სინამდვილეს სწორი ანალიზი უნდა გავუკეთოთ, სულიერი სისუსტის გარეშე.

ლონდონში ჩვენ შეტევაზე უნდა გვეთამაშა და დაცვის გაძლიერებაზე მხოლოდ მაშინ ვიფიქრებდით, თუ ანგარიში მოგვეცემდა ამის საშუალებას. ვუტევდით, როგორც შევგვეძლო, იმ მონდომებითა და ერთგულებით, რაც ერთი ხელის მოსმით „წაგვართვეს“ წაგების შემდეგ. გუნდმა გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო, მაგრამ ვერ მიაღწია საწადელს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გაუღიზიანებლად აღვიქვამთ გულშემატკივართა საყვედურებს, რომლებსაც აქვთ ამის უფლება.

ფეხბურთის მოყვარულთაგან ზოგიერთებს შევახსენებთ, რომ თავით დასწრებაზე თამაშის ტაქტიკური ხერხი ჩვენთვის ცნობილი გახდა ჯერ კიდევ 1960 წელს (ინგლისში სტუმრობისას), თუ განვავთ, მანამდეც კი, 1956 წელს, როცა თბილისში „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ ჩამოვიდა. მაშინ ჩვენ ჯეროვნად ვერ შევაფასეთ ამ ხერხის პროგრესული მნიშვნელობა, არც გვიფიქია მისი ათვისება, თორემ დღეისთვის ასე არ დავუთმობდით მეტოქეს.

ნათქვამიდან ის დასკვნა გამოდის, რომ მკვეთრად უნდა ამაღლდეს საერთოდ თავით თამაშის ტექნიკა, მაგრამ, სანამ მოთამაშე უმაღლეს ლიგაში მოვა, ჯერ კიდევ ბავშვთა გუნდებში უნდა შეუდგეს ამის სწავლას, თორემ ზოგიერთს გულუბრყვილოდ სჯერა, რომ საქმის გამოსწორება ლონდონშივე შეიძლებოდა ტაიმებს შუა, 15-წუთიანი შესვენებისას, ან თუნდაც იმ 15 დღის განმავლობაში, პირველ და მეორე მატჩებს შორის რომ განვლო.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ყველა იმ უპასეკაცო განცხადებას, რომლებშიც თავის გულისწყრომას აძლევს გამოსავალს ზოგიერთი გულშემატკივარი. ისინი მარტოოდენ შიშველ ემოციებს ეფყარებიან, მიზნად ისახავენ არა გუნდის მხარდაჭერას, არამედ განცდილი უსიამოვნებისთვის სამაგიეროს მიზღვას, მაგრამ სავსებით ვიზიარებთ ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს საპროექტო თანამშრომელთა რჩევას, რომ შეხვედროდა ან გამოყენებულ იქნეს პროფესიული გუნდების გამოცდილება, აგრეთვე, მათს ჯანსაღ ოპტიმიზმს და რწმენას „დინამოს“ მომავლის თამობაზე.

სამტრედიელი ნ. პირველაშვილის შეხედულება „ტოტენჰემზე“ ერთობ ზერელეა. არა, „ტოტენჰემი“ არ გახლავთ ხელწამოსაკრავი გუნდი და არც მისი სატურნირო მდგომარეობაა საკმარისი ასეთი დასკვნის გამოსატანად. ვფიქრობ, ნ. პირველაშვილს მაღე მიეცემა შესაძლებლობა დარწმუნდეს, თუ როგორ შეცდა „ტოტენჰემის“ საერთო შეფასებაში.

დ. ჯანაშიას შენიშვნების უმეტესობა გასაზიარებლად მიმაჩნია, გარდა იმ მოსაზრებისა, რომლებზეც ზემოთ შევედავე. არც ისაა სწორი, თითქოს თბილისის „დინამოს“ პირველი შეხვედრის შემდეგ ფსიქოლოგიური ტრავმა მიეყოს. პირიქით, პირველმა თამაშმა გუნდი გაათავისუფლა იმ მძიმე ტვირთისგან, რომელიც მანამდე აგვიდეს „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ცაში აყვანით.

მ. ჩაჩუას თეორიულ კონცეფციებს პასუხი ზემოთ გავეცით, ოღონდ დამატებით გვინდა ვთქვათ, რომ მაღალი გადაცემების გარეშე ვერც ერთი გუნდი ვერ ითამაშებს ხერხიანად. ამის შესაძლებლობას მას არ მისცემს მეტოქე და მინდორზე შექმნილი ესა თუ ის სიტუაცია.

მ. ჩაჩუა წერს, „დინამომ“ მხოლოდ მონდომების ხარჯზე მიაღწიაო „ტოტენჰემთან“ ფრეს. მარტოოდენ მონდომებით უსაფუძვლო საყვედურების ჩამოყალიბება თუ შეიძლება მხოლოდ, თორემ „დინამომ“ კი არ მიაღწია „ტოტენჰემთან“ პირველ მატჩში ფრეს, არამედ პირიქით, და ეს ინგლისელმა სპეციალისტებმაც ერთხმად აღიარეს.

ს. გეგორკოვის წერილი შეიცავს დებულებას, რომლის თანახმადაც „დინამო“ ზარშან უმეტეს შემთხვევაში აგებდა მეორე ტაიმებს. სინამდვილეში საქმე პირიქითაა. „დინამომ“ ზარშან ჩატარებული 57 თამაშიდან მეორე ტაიმი მოიგო 26-ჯერ, წააგო კი სულ 11-ჯერ. მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ ეს ბალანსი არ მიგვაჩნია რაიმე დიდ დამსახურებად. მართალია, მატჩი ორ ტაიმად იყოფა, მაგრამ 90 წუთი მაინც ერთი მთლიანი თამაშია და მისი შედეგი შეიძლება გადაწყდეს როგორც პირველივე წუთზე, ისევე ბოლოსაც. რაც შეეხება ჩვენს პატარა ფეხბურთელებს, რომლებიც სისტემატურად იკავებენ 1 ადგილებს საკავშირო შეჯიბრებებში, მათგან 60 გავსინჯეთ და „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ვერც ერთი ვერ მიიჩნია საკმაოდ მომზადებულად გუნდისთვის.

პატარების გამარჯვებები მხოლოდ იმას მეტყველებენ, რომ ისინი სჯობნიდნენ თავიანთ თანატოლებს, თბილისის „დინამოსთვის“ შერჩევისას კი გუნდის ხელმძღვანელობა სულ სხვა საზომ ერთეულებს მიმართავს. მე იმას კი არ ვამბობ, თითქოს ჩვენი ნორჩი ჩემპიონები არ წარმოადგენენ „დინამოს“ რეზერვს. უბრალოდ, დღეს ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებს, ხვალ კი დაკმაყოფილებენ.

ვ. მელიქიშვილის კრიტიკა ნაწილობრივ მართებულია, ოღონდ თავს უფლებას მივცემ არ დავეთანხმო იმ სერიოზულ ბრალდებას, თითქოს „დინამოს“ ხელმძღვანელობა არასერიოზულად ეკიდებოდეს თავის მოვალეობებს. მაგალითისთვის ავიღოთ სათადარიგო მეკარის საკითხი. სეზონის დასაწყისში გუნდში ირიცხებოდა ოთხი მეკარე: აკობია, ჩლაიძე, გაგოშიძე და გოგია. აკობია გაათავისუფლეს გუნდიდან, ჩლაიძემ აქილევსის მყესის ტრავმა მიიღო, გაგოშიძემ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ყოველივე ამის შედეგად გუნდი შუა გათამაშებაში დარჩა ერთადერთი მეკარის ამარა. სეზონის განმავლობაში ჩვენ გავსინჯეთ კიდევ 5 ახალგაზრდა მეკარე, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ უპასუხებდა სათანადო მოთხოვნებს.

რაც შეეხება ისეთ საშუალებას, როგორიცაა მზამზარეული მეკარის გადმოყვანა სხვა გუნდიდან, ჩვენ მას ვეღარ გამოვიყენებდით, ვინაიდან, თანახმად მოქმედი დებულებისა, მოთამაშეთა გადაყვანა გუნდიდან გუნდში შეიძლება მხოლოდ გადასაყვან პერიოდში, ესე იგი დეკემბერში, ჩვენ კი მაშინ ოთხი მეკარე გვყავდა. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ უეფა-ს თასზე თამაშის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გუნდში ექვს თვეს მაინც ირიცხებიან. ასე რომ, გაგოშიძისა და ჩლაიძის ტრავმების შემდეგ საკავშირო ფედერაციას კიდეც რომ დაერღვია თავისივე დებულება, ახალ მეკარეს უეფა-ს თასზე მაინც ვერ ვთამაშებდით.

„მაისურების ინციდენტი“ გამოიწვია იმან, რომ მიუხედავად არაერგოზისი მოთხოვნისა, საკავშირო ფედერაციამ არ გამოგვიგზავნა უეფა-ს თასის გათამაშების დებულება და არც ის გავცნობა, რომ, ამ დებულების თანახმად, ჩვენი შინაგანი დებულებისგან განსხვავებით, მაისურებს ირჩევს მასპინძელი და არა სტუმარი. თბილისში მატჩის დროს ჩვენ „ტოტენჰემს“ დავუთმეთ არჩევანი და ლონდონში სამაგიეროს ველოდით, მაგრამ ინგლისელებმა თვითონ მოისურვეს თეთრი ფორმით გამოსვლა მინდორზე.

დაბოლოს, დინამოელთა ინტერვიუს შესახებ, რომელიც ტელევიზიით უჩვენებიათ ლონდონში თამაშის დაწყების წინ. ტელეკორესპონდენტები ჯერ ბაზაზე გეესტუმრნენ გამგზავრების დღეს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ სთხოვა მათ არ შეხვედროდნენ ფეხბურთელებს. ტელეკორესპონდენტებმა „რევანში“ აეროპორტში აიღეს და იქ გამოძალეს მოთამაშეებს სასურველი სახის ბაქიობა. ასეთი ინტერვიუ კიდევ უფრო შეუსაბამო გამოჩნდა ჩვენი წაგების შემდეგ.

მე აქ შევეხე თითქმის ყველა საკითხს, რომელიც დასმული იყო „ლელოს“ მიმოხილვაში, და თუ რამეს არ შევეხე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პედაგოგიური მოსაზრებებით შეუძლებლად მიმაჩნია მათს ირგვლივ საჯარო კამათი (მომიტევონ მათ, ვინაც უპასუხისმგებლო განცხადებები გუნდისთვის დახმარებად მიაჩნია).

დასასრულ მინდა ვთქვა კიდევ ერთი: „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა ბ. ნიკოლსონმა თბილისში განაცხადა: ჯერ არსად მინახავს, რომ გულშემატკივრები ასე ცივად და ძუნწად ქომაგობდნენ თავიანთ გუნდსო. მას მსედველობაში ჰქონდა ის, რომ, როცა დინამოელები უტევდნენ, ტრიბუნებზე თითქმის სიჩუმე სუფევდა, ხოლო ინგლისელთა იერიშისას და „დინამოს“ მცველთა შეცდომისას სტვენა ისმოდა. არ გამიგოთ ცუდად და ქომაგობა უფრო აქტიურად უნდა. თუკი ჩვენს სპორტულ მეტოქეებს „მაიუ“ ამხნევებთ, თუ უცხოთის სტადიონებზე ტრიბუნებიდან გრიგალისებური მძვინვარება ისმის, ჩვენც ასევე უნდა დავეხმაროთ ჩვენს ფეხბურთელებს თამაშის დროს, გავამხნეოთ და ფრთა შევასხათ მათ.

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

ციფრები, ციფრები...

● განვლილ, XXXV ჩემპიონატში სულ გატანილი 548 გოლიდან 200-ზე მეტი ნახევარმცველებისა და მცველების ანგარიშზე მოდის.

● დებულების იმ პუნქტის შესაბამისად, რომლითაც გაუქმდა ფრე, 56-ჯერ დაინიშნა დამატებითი პენალტები. 37-ჯერ გაიმარჯვეს მასპინძლებმა, 29-ჯერ — სტუმრებმა. ყველაზე მეტჯერ (12-ჯერ) ეს პროცედურა შესრულეს ლენინგრადის ზენიტელებმა, თუმცა მხოლოდ 3 ქულის აღება შეძლეს. ალმა-ათის „ყაირათი“ 11-ჯერ მონაწილეობდა დამატებითს პენალტებში და 10 ქულის აღება შეძლო.

● ალმა-ათის სტადიონის მაყურებლები ყველაზე ხშირად იყვნენ ამ „ლატარიის“ მოწმენი — 8-ჯერ, ტაშკენტელებმა კი მხოლოდ ერთხელ ინიღეს დამატებითი პენალტების სერია.

● გამოვლინდნენ სპეციალისტები 11-მეტრიანების დარტყმაში, ამასთან იყო შემთხვევები, როცა პენალტებს მეკარეებიც არტყამდნენ. მაგალითად, ვორონილოვგრადელმა ტკაჩენკომ 2 პენალტი გაიტანა, ლენინგრადელმა პრონინმა, კიეველმა სამოხინმა, მოსკოვის არმიელმა ასტაპოვსკიმ, დნეპროპეტროვსკელმა სობეცკიმ და ერევნელმა აბრამიანმა კი — თითო. პენალტები დაარტყეს ვოროშილოვგრადელმა ფოროკაშმა და როსტოველმა კუდასოვმა, მაგრამ ბურთის გატანა ვერ შეძლეს.

● მატჩის შემდგომი პენალტების სნაიპერები არიან: სადირინი („ზენიტი“) — 12 დარტყმიდან 10, ბაბენკო (ცსკა) — 9-დან 9, ნაიდა („დნეპრი“) — 8-დან 8. ასეთივე შედეგი აქვთ ვორონინს და კურნევს (ორივე — მინსკის „დინამო“).

● არის საწინააღმდეგო „რეკორდებიც“. ტორპედოელმა იურინმა 5 პენალტიდან ვერ გაიტანა 4, 3-3 პენალტი გააფუჭეს დონეცკელებმა დუდინსკიმ, ზვიაგინცევმა და იარემჩენკომ, მაბოვიკოვმა (მოსკოვის „დინამო“), ტორპედოელმა იანცევმა, მინსკელმა სლოვაკმა, ვოროშილოვგრადელმა ყურავლიოვმა.

● როსტოვის არმიელებმა ჩემპიონატის ფინიშზე ზედიზედ 9 მატჩი წააგეს.

● კიევის დინამოელები შინ მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ და ისიც დამატებითი პენალტებით.

● ყველაზე მეტი ქულა ჩემპიონატის პირველ სამ პრიზიორს „აართვეს“ ტორპედოელებმა: 12-დან — 5.

● XXXV ჩემპიონატის ყველაზე მეტი მატჩი იმსაჯა ბაქოელმა არბიტრმა ტ. ბახრამოვმა — 13. ლენინგრადელმა ა. ივანოვმა და მოსკოველებმა ი. ულკიანოვმა და ვ. ლიპატოვმა იმსაჯეს 11-11 მატჩი, თბილისელმა გ. ბაქანიძემ, ხოსუმელმა ა. მილრენკომ, მოსკოველებმა ი. ბოჩაროვმა, პ. კაზაკოვმა და ვ. რუდნევმა — 10-10.

● ყველაზე მეტი „ფრიადი“ შეფასება მწვრთნელებისგან მიიღეს ერევნელმა ფეხბურთელებმა — 184, ამასთან, 13 მატჩში გუნდის ყველა წევრს დაეწერა „ხუთიანი“. ყველაზე მეტი „ფრიადი“ ჩემპიონატში აქვს „არარატის“ მეკარე ა. აბრამიანს — 21. ერევნელთა კაპიტანს ო. ზანაზანიანს და თბილისის „დინამოს“ მეკარეს დ. გოგიას 15-15 „ფრიადი“ აქვთ.

● ყველაზე მეტი „ორიანი“ მიიღო როსტოვის არმიელმა ანტონოვმა — 11. „დნეპრის“ მწვრთნელებმა თავიანთ ფეხბურთელებს 7-ჯერ „ერთიანებიც“ კი დაუწერეს.

● მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე გოლი გავიდა რვა შემთხვევაში. კიევის დინამოელებმა სამჯერ შეძლეს ბურთის გატანა ბოლო წუთზე.

ნ. ქერდიკაუშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონ ჰენესი „ტაიმსი“. 1 დეკემბერი, 1973 წ.

სტუმრად ერთ ოჯახის კაცთან, რომელსაც გულში საქართველო აქვს ჩაჭდეული

იმ დროს, როცა ენობრივი ზღუდე დიდ სიძნელეებს მიქმნიდა, ალექსანდრე მეტრეველმა გამომიშოდა შეგობრული ხელი — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. იგი გამოჩენილი სპორტული ფიგურაა თბილისში, შავ და კასპიის ზღვებს შუა, ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე საქართველოს დედაქალაქში. როცა თბილისში ადმოვჩნდი „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და ადგილობრივი „დინამოს“ შეხვედრის გამო, მეტრეველი შინ დამხვდა. ეს ბედნიერი შემთხვევა იყო.

უიმბლდონის ცენტრალური კორტი რაღაც 2500 მილით შორს კი არა, თითქოს სადღაც სამყაროს მიღმა ჩანდა, როცა თბილ, მზიან შუადღეს ძველი ქალაქის თავზე გადმომდგარ მადალ ტერასაზე ყავას შევექცეოდით. მერე თავისი უსაზღვრო სტუმართმოყვარეობის კარნახით (საქართველოსთვის დამახასიათებელი ნიშანია!) მან თჯახთან ერთად მომაკითხა და მანქანით წამიყვანა ქალაქგარეთ, რათა კავკასიონის მისადგომები მენახა და ეგზოტიკურ ქართულ სუფრას გავცნობოდი ერთ რესტორანში, რომელიც შიგნიდან ვეებერთელა სკას ჰგავდა.

მან მიჩვენა მეთვრამეტე საუკუნის ძეგლი — სვეტიცხოველის ტაძარი, რომელიც ცნობილია არა მარტო თავისი სიძველით, სიმშვენიერით, უზარმაზარი თაღით, თურქ და სპარს ძარცველებთან საბრძოლველად აგებული ფორტიფიკაციებით, არამედ შემზარავი გადმოცემითაც: ეს ტაძარი ხუროთმოძღვარ არსაკიძეს აუგია მეფე გიორგის დავალებით. მეფეს კი თავისი კმაყოფილება და მოწონება არაჩვეულებრივი სისასტიკით გამოუხატავს — უბრძანებია არსაკიძის მარჯვეხა მოჭკვეთეთო...

მეტრეველს ღონიერმა მარჯვენამ პრივილეგირებული მდგომარეობა მოუპოვა ქართულ საზოგადოებაში, რაც ბევრად უფრო ჰუმანურად გამოიხატა. იგი ხშირად მოგზაურობს მთელს მსოფლიოში, ზოგჯერ თავის მეუღლე ნათელასთან ერთადაც, რომელსაც თვითონ ნანას ეძახის. მეტრეველი მოყვარული სპორტსმენია, მაგრამ საკმარისი შემოსავალი აქვს საიმისოდ, რომ ჰქონდეს ძვირფასი საკუთარი „ვოლგა“...

სავსებით ბუნებრივია, საერთაშორისო ჩოგბურთში გატარებული ამდენი ხნის შემდეგ იგი თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად, მაგრამ მე გაკვირვებულმა აღმოვაჩინე, რომ სალაპარაკო ინგლისური იცის ნანამ და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათმა ექვსი წლის ვაჟმაც. ბირმრგვალი, ანგელოზივით ლამაზი იკა, ყორაღი პატარა ბიჭი, ჩვენს ენას სკოლაში სწავლობს, როგორც, ალბათ, ქართველების უმეტესობა.

გარდა ამისა, ალექსანდრეც და მისი მშობლებიც თავისუფლად ფლობენ ორ მშობლიურ, მაგრამ სავსებით განსხვავებულ ენას — ქართულსა და რუსულს. მე კი აქამდე ვამაყობდი, რომ გაქცეული ფრანგის და ესპანელის მობრუნება შემეძლო.

მეტრეველი მატჩამდე ცოტა ხნით ადრე დაბრუნდა ინდოეთიდან, სადაც კომკავშირის კეთილი ნების მისიით იყო გაგზავნილი ლეგენდარულ რუს მეკარე ლევ იაშინთან ერთად.

ახლა მეტრეველი 29 წლისაა და შეიძლება გვეგონოს, რომ მისი საუკეთესო დღეები ჩოგბურთში უკვე გასულია. მაგრამ თვითონ ამობობს, მომავალ ორ-სამ წელიწადში ახალი მწვერვალების დაპყრობას შეეძლებო. ახლა იგი სავსებით ჯანმრთელია, თუმცა ამ ოთხი წლის წინათ მუხლის ოპერაცია სჭირდებოდა. მეორეც, ფიქრობს, თამაშის კლასს კიდევ უფრო ავიმაღლებო.

—კი, მაგრამ ვის შეუძლია ჩოგბურთში კიდევ უფრო დაგაოსტატოს? — ვკითხე მე უნდობლად.

მეტრეველმა ამიხსნა: ჩემი მწვრთნელი არამ ხანგულიანი (იგი ბავშვობიდან ამ მწვრთნელის ერთგულია) ახლაც მუშაობს და ტექნიკურად უადრესად კვალიფიციურია, თუმცა 76 წლისაა; მას შეუძლია შეცდომებზე მიმითითოს და უკეთ თამაშის გზები მიჩვენოსო. ამას გარდა, როგორც თვითონ მითხრა, მეტრეველი დღეში ორ საათს დამოუკიდებლად ვარჯიშობს.

როგორც ჩანს, მომავალში მსოფლიო უფრო იშვიათად იხილავს მეტრეველს. ახლა მას უკვე აღარ შეუძლია ყოველწლიურად შვიდი თვით მოსწყდეს ოჯახს. „ჩოგბურთის მსოფლიო ჩემპიონატს“ სურს, რომ მეტრეველი გამოვიდეს შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში, მაგრამ მას ჯერ ვერ გადაუწყვეტია, დათანხმდეს თუ არა ამ მიწვევაზე. რაც მეტრეველის მშვენიერი ცოლ-შვილი ვნახე, მშვენივრად მესმის. რა აჩერებს მას შინ.

ვერავინ ჩამოთვალოს ორიგინალობად იმას, რომ მეტრეველს ვკითხე, ვინ მიგაჩნია მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად-მეთქი, მაგრამ სიტყვამ მაინც მოიტანა ეს. მან უყოყმანოდ მიპასუხა: „როდ ლევერი“. მეტრეველი ფიქრობს (მე მისი სიტყვები შეიძლება ზუსტად ვერ გადმოგცეთ), რომ სმითმა და ნიკოსმმა, მართალია, შეძლეს ლევერის დამარცხება ბოლო წლებში, მაგრამ ეს შედეგი დამოკიდებული იყო პირად ემოციებზე და საერთო სიტუაციაზე. საერთოდ კი, როცა გუნებაზეა, ლევერი ძალიან არასტერეოტიპიურია და მზადაა გამანადგურებელი, მოულოდნელი უკუდარტყმისთვის, თუნდაც გეგონოს, რომ უკვე კუთხეში გყავს მიმწყვდეული.

მეტრეველი როზუოლსაც ჰატივს სცემს თურმე, ნასტასე კი არ უხსენებია. შეიძლება ეს სახელი, უბრალოდ, გამორჩა ჩვენი საუბრის დროს. მისი აზრით, ბილი-ჯინ კინგი საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა შორის და მარგარეტ კორტს მსოლოდ წმინდა ფიზიკური ნიშნებით ჩამორჩება. მეტრეველს სჯერა, რომ ასევე სწრაფად ოსტატდება მისი თანამემამულე ოლგა მოროზოვა.

ყველა ქალაქს შორის, სადაც კი ყოფილა თავისი საჩოგბურთო კარიერის მანძილზე, ყველაზე ნაკლებად მოსწონს ნიუ იორკი და ჩიკაგო, ამერიკის უფრო პატარა და შორ საჩოგბურთო ცენტრებს კი მეტი სიმპათიით ახსენებს. მეტრეველის საყვარელი ქალაქია ლონდონი (ამაში მე დავინახე აბსოლუტური გულწრფელობა და არა მხოლოდ სტუმრის მიმართ თავაზიანობა), განსაკუთრებით კი მისი სამხრეთ-დასავლეთი გარეუბანი, რომელიც ყველა ჩოგბურთელისთვის ნამდვილი მექაა.

თავისი ბუნებით მეტრეველი მიწის კორტების მოთამაშეა, მაგრამ უიმბლდონის მშვენიერ მწვანე კორტზე თამაშიც უყვარს, იმ პირობით, თუ ერთ კვირას მისცემენ აკლიმატიზაციისთვის. ამჯობინებს ბეკნემის ბალახის კორტებს. ჩვენ ხშირად გვსმენია, რომ „უიმბლდონი მსოფლიოს საუკეთესო ტურნირია“. მეტრეველიც მისი ერთერთი თაყვანისმცემელია. მას მოსწონს ამ შეჯიბრების ორგანიზაცია, ატმოსფერო და თამაში „მაყურებლების წინაშე, რომელთაც ჩოგბურთი ესმით“.

შარშანდელი მეჯიბრების ფინალში კოდეშთან სწრაფად წაგებამ გაუცრუა იმედები. „მე მასთან თამაში მიყვარს, რადგან, ჩვეულებრივ, ვიგებ ხოლმე“, — მითხრა მან. მაგრამ ამჯერად, საბედნიეროდ, იგი თურმე „ძალიან ღელავდა“.

მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს იმ ბიოკტთან, რომელმაც კინალამ ჩაშალა შარშანდელი ჩემპიონატი. როგორც მოყვარული, ის, ბუნებრივია, არ შედის „პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციაში“ და, ამდენად, დაკაში არც ჩაბმულა.

მე ვკითხე, როგორ ახერხებ შეინარჩუნო ასეთი თვითკონტროლი მაშინაც კი, როცა ბედი აშკარად არ გწყალობს-მეთქი. მისი სახე იშვიათმა ღიმილმა გაანათა (სერიოზული კაცია ბუნებით) და პასუხის ნაცვლად მხრები აიჩეჩა. პოლიტიკური ცინიკოსები ამას „სამხედრო დისციპლინას“ მიაწერდნენ, მე კი ვამჯობინებ აქ კეთილშობილი ადამიანის ბუნებრივი ქცევა დავინახო.

მერე ჩვენ ცოტა ხნით გადავუხვიეთ ჩოგბურთს. „ჩემი ძვირფასი საქართველოს გარეთ დედამიწის ზურგზე ვერსად ვიცხოვრებდი. აქ ხალხიც კარგია, ცხოვრებაც, პაკაც“. მე ვიფიქრე, ცინიკოსები კვლავ ხითხითს დაიწყებენ-მეთქი და ასეც მოხდა, როცა ამ საუბრის შინაარსი უფრო ფართო წრეს გავაცანი. მაგრამ ჩემი ორდღიანი ვიზიტის მანძილზე მე ვერაფერი შევნიშნე ისეთი, რაც მასპინძლის გულწრფელობაში დამაეჭვებდა.

— ამდენი ებრაელი რომ გადასახლდა ისრაელში? — ვკითხე მე.

ის დამეთანხმა, მაგრამ ჰითხრა, ბევრი უკან ბრუნდება, რადგან აქაური ცხოვრება უფრო მოსწონთო. შეიძლება მე საქმეში კარგად ჩახედული არა ვარ, მაგრამ მაინც მყარი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ საქართველოში კვალიც არ ჩანს ანტისემიტიზმისა...

...ივნისში მე ისევ ვნახავ ინგლისში ალექსანდრე მეტრეველს და იმედი მაქვს ნანაც მასთან იქნება. მისი ნიჭის გამოვლენას მხოლოდ რომელიმე ჩეფე თუ შეუშლის ხელს — მარჯვენას მოკვეთს, მაგრამ ძალიან ვეჭვობ, რომ რამდენიმე თვეში იქ მეფე ისევ დაბრუნდეს ტახტზე.

სურათზე: ა. მეტრეველი თამაშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

„იმპერატორეთის გმირთა ნათხილამურევი“

ამიერიდან ასე ერქმევა კომკავშირულ ესტაფეტას, რომელიც საბჭოთა იმპერატორეთში ფაშისტური ჯარების განადგურების 30 წლისთავს და კომკავშირისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს ეძღვნება.

შეჯიბრება ტარდება მურმანსკის ალკა საოლქო კომიტეტის, ოლქის სპორტკომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ საოლქო საბჭოს გადაწყვეტილებით.

— ესტაფეტა გაივლის უკიდურეს ჩრდილოეთში საბჭოთა მეომრების გმირული ბრძოლების ადგილებში — ამ მეომართაგან ხომ ბევრი ბრწყინვალე სპორტსმენი-მოთხილამურე იყო, — ამბობს მურმანსკის ალკა საოლქო კომიტეტის სპორტული და თავდაცვითმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ა. როგონოსკი. — სულ ესტაფეტა დაყოფილია 29 ეტაპად, რომლებსაც საბჭოთა კავშირის გმირებისა და ჩრდილოეთის დღესასწაულის ჩემპიონ მოთხილამურეთა სახელები დავარქვით. მაგალითად, სევერომორსკ — მურმანსკის ეტაპს ჰქვია „ჩრდილოეთის ზღვის გმირთა ნათხილამურევი“, მურმანსკ — კოლისეტაპს—„გმირ გუბეშკეთეველთა ნათხილამურევი“. მესაზღვრე მეომართა სამ ეტაპს სპეკოვის, ბაბიკოვისა და კოსოროვის სახელები ვეწოდეთ.

— ვინ ხელმძღვანელობს ესტაფეტის ჩატარებას?

— საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება კომკავშირის საოლქო კომიტეტის ბიუროს მიერ დამტკიცებულ საოლქო შტაბს. შტაბები იქმნება ადგილებზეც — ქალაქებში, რაიონებში, დაბებში. ესტაფეტის გადაცემის დროს მოეწყობა სპორტული დღესასწაულები, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, შეხვედრები ომისა და შრომის ვეტერანებთან, არმიისა და ფლოტის მეომრებთან.

„იმპერატორეთის გმირთა ნათხილამურევი“ სტარტს 23 თებერვალს აიღებს სევერომორსკში. შეჯიბრებას დაიწყებენ ჩრდილოეთის წითელდროშოვანი ფლოტის წარმომადგენლები.

ვ. ზასუხინი.
(საკდეხის კორ.).

მურმანსკი.

მორიგი ტირაჟების შედეგები

სპორტული ლატარიე ბ ი ს მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 36-ე და „სპორტლოტო-2“-ის მე-8 ტირაჟებისა, რომლებიც 1973 წლის 30 დეკემბერს ჩატარდა მოსკოვში.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3033 მანეთია (ასეთი აღმოჩნდა 143 ბილეთი), ოთხისთვის — 53 (8330), სამისთვის — 3 (181672).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერც აქ გამოიცნო ვინმემ. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის გამოყოფილია 2561 მანეთი (44 ბილეთი), ოთხისთვის — 46 (2731), სამისთვის — 3 (44636).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 11 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟები 10 იანვარს მოეწყობა მოსკოვში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გამოიწერეთ „ლელო“

რედაქციაში ხშირად მოდის მკითხველთა წერილები. გვთხოვენ, რომ „სოიუზპეჩატის“ ჟურნალებში „ლელოს“ შოვნა ჭირს, რადგან გაზეთი დილის საათებშივე იყიდება და, ვინც ცოტას დაგვიანებს, უკვე აღარ ხვდება.

ამ წერილების პასუხად ჩვენს მკითხველებს უნდა მოვახსენოთ, რომ საცალო გაყიდვისთვის გამოყოფილი გაზეთების რაოდენობა არ გაიზრდება. ამიტომ მათ ვურჩევთ გამოიწერონ ჩვენი გაზეთი თუნდაც თებერვლის თვიდან, მით უმეტეს, რომ სხვა ყოველდღიურ შეჯიბრებათა მასალებთან ერთად „ლელოს“ ფურცლებზე დაიბეჭდება ბევრი საინტერესო ამბავი როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის სპორტული ცხოვრებიდან. ამას გარდა, სწორედ თებერვლიდან ჩვენს გაზეთში დაიწყება ბეჭდვა თავის დროზე საქვეყნოდ სახელგანთქმული ფებბურთელის ვ. ივანოვის წიგნისა „ცენტრალური წრე“. განზრახული გვაქვს, ავრეთვე, დაგბეჭდოთ თარგმანი გ. გილმორის წიგნისა „რბენა სიცოცხლისთვის“, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელს მსოფლიოში.

რასაკვირველია, ჩვენი გაზეთი კვლავაც დიდ ადგილს დაუთმობს რესპუბლიკის სპორტულ მაჯისცემას. ასე რომ, თუ გსურთ სპორტულ ცხოვრებას არ ჩამორჩეთ და თვალუური ადევნოთ თქვენი საყვარელი სპორტსმენების წარმატებებს, ნუღარ დაგვიანებთ, გამოიწერეთ „ლელო“ 1 თებერვლიდან.

თებერვლიდან წლის ბოლომდე ხელმოწერის ფასია 7 მან. და 15 კაპ.

ხელმოწერა შეუზღუდავია.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობა, ლენინის ქ. № 14. УЕ 03011